24
ივლისი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 145 (2250)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საბჭოთა გუნდი — კვლავ ჩემპიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ პოლონეთის ქალაქ გდანსკში მიმდინარე ჩემპიონატში პირად პირველობაზე წარუმატებლობის შემდეგ საბჭოთა კავშირის რაპირისტ ვაჟთა გუნდმა მიაღწია დიდ გამარჯვებას — გახდა მსოფლიო ჩემპიონი ამ სახეობაში. ახლახანს ცნობილი გახდა ჩემპიონობისათვის ბრძოლის დასკვნით ეტაპზე მოპოვებული წარმატების დეტალებიც. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ვაჟთა გუნდმა დაამარცხა იაპონიისა და რუმინეთის კოლექტივები, მისი გზა უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად კიდევ უფრო ძნელი გახდა. განსაკუთრებით მძაფრი აღმოჩნდა უნგრელ და პოლონელ რაპირისტებთან შეხვედრა. პირველი მატჩი წყვეტდა პირველი ადგილის საკითხს. საბჭოთა მოფარიკავეებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 9:7 და გადამწყვეტ ბრძოლაში შეებნენ ჩემპიონატის მასპინძლებს, პოლონელ სპორტსმენებს, რომლებიც ერთ-ერთ უძლიერესებად ითვლებიან ამ სახეობაშიც მთელს მსოფლიოში.

ეს მძიმე და მეტად დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ფრედ—8:8. მაშინ ძალაში შევიდა მიღებულ და მიყენებულ ჩხვლეტათა შეფარდება. ამ ნიშნით უპირატესობა საბჭოთა რაპირისტების მხარეზე აღმოჩნდა (59:60) და ერთმა ზედმეტმა ჩხვლეტამ მათ ჩემპიონის წოდება მოუტანა.

მეორე დიდი გამარჯვება მოპოვებულ იქნა რაპირისტ ქალთა ასპარეზობაში. აქაც, ვაჟთა გამოსვლების ანალოგიურად, დღის წესრიგში იდგა პირად ჩათვლაში დიდი მარცხის რეაბილიტაციის საკითხი, რამდენადაც ჩვენმა საუკეთესო რაპირისტმა ქალებმა პირად პირველობაზე აჩვენეს მეტად არასახარბიელო შედეგები: როგორც კი ძალაში შევიდა ოლიმპიური სისტემა, შეჯიბრებას გამოეთიშნენ გოროხოვა, შეპელიოვა, ნიკანჩიკოვა და სამუსენკო, ხოლო ა. ზაბელინამ შეძლო მხოლოდ მეექვსე ადგილის მოპოვება. ეს იყო ჩვენი რაპირისტი ქალების ყველაზე დიდი წარმატება.

მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა გუნდურ ასპარეზობაში. საბჭოთა მოფარიკავე ქალებმა, რომლებმაც ასეთი ფიასკო განიცადეს შეჯიბრების პირველ დღეს, გუნდურ

პირველობაზე შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ის მარცხი გარკვეულწილად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ეს გარემოება დადასტურდა, კერძოდ, ფინალურ შეხვედრაში უნგრელ რაპირისტებთან, რომლებიც განადგურებულ იქნენ დიდი ანგარიშით — 9:4.

საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები გუნდი რაპირაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჯილდო ღირსეულთ

საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა თავისუფალ ჭიდაობაში 1963 წლის მსოფლიო პირველობაზე 4 ოქროს, 3 ვერცხლის მედალი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

მაღალი სპორტული ოსტატობა და გამარჯვებისადმი ურყევი სწრაფვა გამოამჟღავნეს ა. იბრაჰიმოვმა (ბაქოს „დინამო“), გ. საღარაძემ (თბილისის „ბურევესტნიკი“), ა. მედვედმა (მინსკის „ბურევესტნიკი“) და ა. ივანიცკიმ (ცსკა), რომლებიც მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ თავისუფალ ჭიდაობაში. გამომდინარე აქედან სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა ა. მედვედს (მინსკის „ბურევესტნიკი“), და ა. ივანიცკის (ცსკა), სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს საპატიო წიგნში შეიტანა მსოფლიოს 1963 წლის ჩემპიონები ა. იბრაჰიმოვი (ბაქოს „დინამო“) და გ. საღარაძე (თბილისის „ბურევესტნიკი“).

ცენტრალური საბჭოს სიგელებით დააჯილდოვა: გუნდის წევრები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ალიევი (მახაჩყალის „ უროჟაი“), სპორტის ოსტატები ზ. ბერიაშვილი (თბილისის „ბურევესტნიკი“) და ა. ალბული (ლენინგრადი, საბჭოთა არმია) და მწვრთნელთა შემადგენლობა: ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. დიაკინი, მწვრთნელები: საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ს. პრეობრაჟენსკი, ა. იალტირიანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე, საბჭოთა კავშირის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ა. კატულინი, თავისუფალ ჭიდაობაში მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. მოროზოვი, მასაჟისტი ი. ქელეზინი და ქალაქ ალუშტას „სპარტაკის“ სასწავლო-სპორტული ბაზის თანამშრომელთა კოლექტივი.

★

სურათზე: სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრებისა და დანიის „ბოლდკლუბის“ გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★

საპატიო ადგილზე

მოსკოვში დამთავრდა ჭაბუკთა პირველობა ცხენოსნობაში, რომელშიც 15 გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ჭაბუკმა კოლმეურნე სპორტსმენებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: „უროჟაი“, „ბურევესტნიკი“, „ტრუდი“.

დაბრკოლებათა გადალახვაში პირად ჩათვლაში ზუგდიდელმა შ. გულორდავამ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

რ. კორძაია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შუღლის დამთესნი

◆

საერთაშორისო თემაზე

◆

ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს სასტუმრო „იოჰანესჰოფში“ ამას წინათ შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა ერთობლივი სხდომა, რომელსაც უნდა გამოემუშავებინა ტოკიოს XVIII და ინსბრუკის IX ოლიმპიურ თამაშებში გერმანიის ერთიანი გუნდის მონაწილეობის პრინციპული საკითხები.

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის სპორტის ემისართა თათბირი აღნიშნულ საკითხზე პირველი არაა. ამგვარ გასაუბრებას ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა.

მხარეები მრგვალ მაგიდას ამჯერად 15 საათი უსხდნენ. გფრ-ის წარმომადგენლები ამ ხნის განმავლობაში ჯიუტად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ წამოჭრილ პრობლემათა პატიოსანი და მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის, გაექნელებინათ ისედაც რთული საკითხები. თათბირის დამთავრების შემდეგ გაიმართა ოფიციალური პრეს-კონფერენცია, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციამ არჩია თავი აერიდებინა ჟურნალისტებთან შეხვედრისათვის და დემონსტრაციულად არ გამოცხადდა პრეს-კონფერენციაზე. ეს ფაქტი თავისთავად ნათლად მეტყველებს დასავლეთელთა პოზიციებზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. შობელმა ჟურნალისტებს შეატყობინა მოლაპარაკების ზოგიერთი დეტალი და სინანული გამოთქვა, რომ გერმანიის სპორტის აქტუალური საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელია, ვინაიდან დასავლეთელებს არ სურთ გამოიჩინონ ლოიალობა და ხელი შეუწყონ საერთო საქმეს. მაგალითად, გფრ-ს ოლიმპიური კომიტეტი კატეგორიულად წინააღმდეგია მოეწყოს ორი ქვეყნის სპორტული ფედერაციების შეხვედრები სხვადასხვა სახეობებში საკვალიფიკაციო შეჯიბრებათა მოსაწყობად, რათა საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სპორტსმენთაგან შეიქმნას საერთო ნაკრები გუნდები ტოკიოსა და ინსბრუკისათვის, გამოემუშავდეს ერთიანი ფორმა გერმანელთათვის. სასტუმრო „იოჰანესჰოფის“ ჰოლში მოეწყო სპორტული ფორმების დემონსტრირება, მაგრამ გფრ-ს წარმომადგენლებმა არ მოიწონეს და არც რეკომენდაცია მისცეს რომელიმე მათგანს.

ერთადერთი შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა თათბირზე ისაა, რომ გადაწყდა მოხდეს დასავლეთ გერმანიისა და აღმოსავლეთ გერმანიის ცალკეულ სპორტულ ფედერაციათა თათბირები ა. წ. 15 აგვისტოს ზამთრის სახეობებში და 15 ოქტომბერს — ზაფხულის სახეობებში, ვინაიდან ახლოვდება მომავალ თამაშებზე განაცხადების წარდგენის დრო, დადგინდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა შედგეს 1963 წლის 23 ნოემბერს გფრ-ში.

საერთაშორისო სპორტული წრეები უდიდესი ინტერესით ელოდნენ ცნობებს სასტუმრო „იოჰანესჰოფიდან“, მაგრამ თათბირმა დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ გამოიღო. დასავლეთ გერმანიის სპორტის მესვეურნი ყოველგვარი მაქინაციებით ცდილობენ აბსოლუტურ ჰეგემონიას მიაღწიონ ოლიმპიურ წარმომადგენლობაში და გერმანიის ერთიანი ნაკრები ფაქტიურად აქციონ გფრ-ს გუნდად.

ზაფხულს ხალისიანად ატარებენ

მხიარულად და საინტერესოდ ატარებენ საზაფხულო არდადეგებს ბათუმის სკოლების მოსწავლეები ქალაქის პირველ პიონერულ ბანაკში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის სახელს ატარებს. ბანაკი გაშლილია ქალაქის თვალწარმტაც კუთხეში ვ. ლენინის სახელობის პიონერულ პარკში. პიონერები ხშირად აწყობენ ლაშქრობა-ექსკურსიებს მშობლიურ მხარეში, შეხვედრა მოუწყეს ქალთა მსოფლიო კონგრესის დელეგატებს, ექსკურსიას ატარებენ ქალაქის სამრეწველო საწარმოებში და ა. შ.

ბევრი ამხანაგური შეხვედრა და შეჯიბრება გამართეს ბანაკის პიონერებმა, მაგრამ ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო იყო ბანაკის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება 60 მეტრზე რბენაში, ნიჩბოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში.

ნ. მაზუროკმა პირველი რაზმეულიდან ბანაკის ჩემპიონობა მოიპოვა 60 მეტრზე რბენაში. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება დარჩათ მესამე რაზმეულის პიონერებს. პიონერთა ბანაკის ტბაზე მოეწყო შეჯიბრება ნიჩბოსნობაში, მესამე რაზმეულის ჭაბუკმა ნიჩბოსნებმა ა. მესხმა, ვ. გოგიბერიძემ და მ. შერვაშიძემ პირველი ადგილი დაიკავეს. ამ რაზმეულის პიონერებს დარჩათ გამარჯვება მაგიდის ჩოგბურთშიაც. შაშში პიონერთა ბანაკის ჩემპიონი გახდა მეორე რაზმეულის წარმომადგენელი რ. ბადოევი. ამავე პიონერულ რაზმეულს დარჩა გუნდური პირველობა ამ სახეობაში.

საერთო გუნდური პირველი ადგილი სპარტაკიადაში შემავალი სპორტის სახეობების მიხედვით მოიპოვა ი. გაგარინის სახელობის მესამე რაზმეულმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ვ. ბიკოვსკის სახელობის მეორე რაზმეულის პიონერები, ხოლო მესამე ადგილზე — ვ. ტერეშკოვას სახელობის პირველი რაზმეულის პიონერები.

მსაჯთა კოლეგია პიონერებისაგან შედგებოდა და უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ი. ლიტოვკომ, ვ. პარხომენკომ და ზ. ტუშკანოვამ.

გაივლის ზაფხული და ნორჩებს ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეეძლებათ მეგობრებისათვის.

• • •

სურათებზე: მარჯვნივ — 60 მეტრზე რბენის ფინიშზე. პირველია გამარჯვებული ნ. მაზუროვი; მარცხნივ — ცხარე ბრძოლები შაშის დაფასთან.

ტექსტი და ფოტო პ. კებაბჩიანისა.

ბიბლიოთეკა

ბავშვებს
ჩვენი
მომავლის
ყვავილებს,
საზაფხულო
არდადეგების
პერიოდში
ყოველმხრივი
ხელშეწყობა
აქტიური
დასვენებისათვის!

მონდომება
გამარჯვების საწინდარია

როცა ეცნობი ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის სპორტულ ცხოვრებას, უნებლიედ ფიქრობ, რატომ არ იღვწიან ასე ყველა სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური წრთობისათვის, არ სარგებლობენ სპორტისადმი ბავშვების გულმართალი სიყვარულით. ამბობენ, ბევრია დამოკიდებული სკოლის ხელმძღვანელებზე. ყოველ შემთხვევაში ასეა აქ, ინტერნატში, რომელსაც დირექტორობს გ. ურიდია.

რა გააკეთეს ისეთი ცხაკაიელებმა, რომ თავი მოგვაწონეს? არაფერი განსაკუთრებული. მათ მხოლოდ ის გააკეთეს და განაგრძობენ მუშაობას, რისთვისაც მოწოდებული არიან. აკადემიური სწავლების პარალელურად მოსწავლეებს შეუქმნეს სპორტული ასპარეზი, ხელს უწყობენ სპორტული თამაშებით სხეულის გაკაჟებაში. იტყვით: ამას ხომ სხვებიც აკეთებენ, მაგრამ როგორი გულით, როგორი ენთუზიაზმით! მხოლოდ გ. ურიდიას შეუძლია თქვას რამდენი იშრომა მან, რომ სკოლის ტერიტორიაზე აეგო შესანიშნავი სპორტული დარბაზი, რომელიც ახლახანს დაამთავრეს. გ. ურიდიას გვერდში უდგას ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. წირღვავა, რომელიც ბევრს შრომობს მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

მართალია, სკოლა-ინტერნატი თავისი არსებობის მხოლოდ ხუთ წელს ითვლის, მაგრამ იგი უკვე ღონიერი სპორტული კოლექტივია; მისით ამაყობს რაიონი. სკოლაში ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, სროლის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ველომრბოლელთა სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელობს სკოლის ფიზკულტურული საბჭო (თავმჯდომარე ა. კვირკველია).

საბჭო წყვეტს ყველა საკითხს. მათი ნამოღვაწარი ჩანს როგორც სხდომათა ოქმებში, ასევე დამაჯერებლად მრავალ სიგელსა და ჯილდოში, რომლებსაც შეუმკია დირექტორის კაბინეტი. საინტერესოა, რომ სპორტული სექციების მეცადინეობებს, რაც აღინუსხება საგანგებო ჟურნალებში, ხელმძღვანელობენ ამავე სკოლის სპორტის მოყვარული მასწავლებლები და თანრიგოსანი მოსწავლეები.

სპორტული მუშაობის ავ-კარგიანობა მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდება ხოლმე შეჯიბრებაში. ამიტომ ინტერნატელები ხშირად ცდიან თავს უძლიერესებთან შეხვედრებში. სკოლის საუკეთესო სპორტსმენები ღირსეულად იცავენ რაიონის სპორტულ პრესტიჟს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მაგალითად, აქ მოყვანილ სურათზე ველოსიპედისტები დ. ბარამია, ა. ნოდია და ლ. გეგეშიძე (მარცხნივ დგას მათი მწვრთნელი ი. წირღვავა), რომლებიც რაიონის ჩემპიონები არიან, ამას წინათ გამოდიოდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

მთავარი ისაა, რომ სკოლა ცხოვრობს შინაარსიანი სპორტული საქმიანობით. დიდი აღმავლობით ეწყობა ხოლმე პირველობა კლასებს შორის მრავალჭიდში (შვიდ სახეობაში). წელს გარდამავალი თასები (ცალკეულ სახეობებში) და ჯილდოები მოიპოვეს მეათეკლასელებმა (ფიზორგი ლ. ელისაშვილი). ჩემპიონებს „ნადავლები“ გამოფენილი აქვთ თავიანთ კლასში სპეციალურ კარადაში. ცალკეულ სპორტულ სახეობებში გამარჯვებულებისათვის შემოღებულია გარდამავალი ჯილდოები.

დიდი ყურადღება ექცევა თანრიგოსნების მომზადებას. მათთვის ცალკე იმართება შეჯიბრებები. მარტო 1963 წლის მაისამდე 31 მოსწავლემ მიიღო მესამე თანრიგი კალათბურთში, სროლაში, ჭადრაკში, ფეხბურთში, ჩოგბურთში. საზოგადოებრივი ინსტრუქტორის, მსაჯის წოდებას ათზე მეტი მოსწავლე ატარებს.

— ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ბავშვთა სპორტული ცხოვრების გასაუმჯობესებლად, — გვეუბნება ი. წირღვავა, — სპორტულ დარბაზს ამ ზაფხულში მივამატებთ ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებს, მძლეოსნობის სექტორებს და გვექნება ნამდვილი სპორტული კომბინატი.

— ადრე სპორტის მოყვარულებს არ აკლდათ ჩვენგან ყურადღება, — ამბობს გ. ურიდია. — მაგრამ ბევრს ვერაფერს ვაკეთებდით. უფრო თვითონ იჩენდნენ ინიციატივას. ეს იმიტომ, რომ თვით სკოლა გვქონდა მოსაწყობი, ბავშვებისათვის საჭირო იყო საცხოვრებლის აშენება და ბევრი სხვა. ახლა სხვა სურათია.

თ. გიორგაძე

„მერცხალი“

სასკოლო არდადეგებისას ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ფიზკულტურის საბჭომ და საქარხნო კომიტეტმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს, მათ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის ჩამოაყალიბეს ფეხბურთელთა გუნდი „მერცხალი“, რომლის მწვრთნელია ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ა. ანდრიანოვი.

ბავშვთა გუნდი კვირაში სამჯერ გადის წვრთნას ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის მახლობლად მდებარე „იმერეთის“ ფეხბურთის სავარჯიშო მოედანზე. ახლახანს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა — „მერცხალმა“ ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხა ქარხნის მექანიკური საამქროს ფეხბურთელთა კოლექტივი.

ქუთაისის მინის ტარის ქარხნის დირექციამ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს შეუძინა სპორტული ტანსაცმელი და ინვენტარი.

ი. ბუხაიძე

საწარმოს კოლექტივში

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აბაშის მექანიკური ქარხნის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, სადაც სპორტის სახეობების მიხედვით შექმნილია სექციები. მუშა-მოსამსახურეთა ძალებით მოწყობილ იქნა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სადაც წვრთნას გადიან საწარმოს გუნდები. საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობას იღებს ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი.

ორ თვეს გრძელდებოდა ამ საწარმოს 1963 წლის პირად პირველობაზე ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 16 სპორტსმენი. ეს შეჯიბრება კარგად ჩაატარეს კონსტრუქტორმა ქ. ბოხუამ და ბუღჰალტერმა კ. გოშ-დომბროვსკიმ, რომლებმაც 24-24 ქულით გაიყვეს პირველი და მეორე ადგილები.

გ. გამზარდია

რინგის კვადრატზე

ხელთათმანებით
და მხნე თვალებით,
რინგის კვადრატზე

ბრუნავთ,
ვით არწივები
შავი ბრწყალებით,
ქოჩორა თავებს
ღუნავთ.

ირგვლივ ღელავენ
მთა ტრიბუნები
პროჟექტორების ზღვაში
რაინდულ სწრაფვას
და შემართებას
ფარავს მხურვალე ტაში.

გონგი მოგიხმობთ
დასასვენებლად,
რინგის კუთხეში
ჯდებით;
აღელვებული,
ვით სეკუნდანტი
თეთრ ხელსახოცით ვდგები;

სულში მაქვს
თქვენი ვაჟური სახე,
დასველებული თმები.
მე სიჭაბუკის მეჯლისს
შევყურებ

და სილამაზით ვთბები;
ზოგჯერ კიდევაც დამარცხებულა
რაინდი, არა ხარბი,
არ გაუჩეხავს
ზედმეტი დარტყმებით
მეტოქის
ხუსტი წარბი.

მოდით ვაჟკაცნო,
ყვავილით მოვრთოთ
ყველა ნათელი სხივი,
მაღლა ავწიოთ
თაიგულივით
ჩვენ რაინდული
კრივი.

ნ. წულეისკირი

„ფიდე“ № 2

ამას წინათ პრაღაში გამოვიდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ორგანო, ჟურნალი „ფიდე“ № 2 (ჟურნალი სამ თვეში ერთხელ გამოდის).

ჟურნალი იხსნება ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის ფოტოინფორმაციით და პარტიებით. ამ საინტერესო მასალების პარალელურად მოთავსებულია წერილები „მსოფლიო პირველობისათვის შეჯიბრებების ისტორიიდან“, რომელთაც ერთვის მსოფლიოს ყველა ჩემპიონის პორტრეტი და უნიკალური ფოტოსურათების რეპროდუქციები.

ჟურნალში მრავალი სტატია და პარტიაა მოთავსებული. ჟურნალის რედაქტორი, გროსმაისტერი ლ. პახმანი ჰყვება სარაევოს (იუგოსლავია) საერთაშორისო ტურნირის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ სარაევოს ტურნირი ისეთივე ტრადიციული გახდა, როგორც ჰასტინგსის, ბევერვიიკის და მარდელ-პლატის ტურნირები. გერმანელ ოსტატ ჰ. პლატცის სტატიაში „საერთაშორისო ტურნირი ლიბენშტეინში“ აღწერილია ბრძოლა პირველი ადგილისათვის ლ. პოლუგაევსკსა და ა. გიპსლისს შორის. წერილში ბევერვიიკის საერთაშორისო ტურნირის შესახებ უხუცესი ჩეხი ოსტატი კ. ოპოჩენსკი განსაკუთრებით აღნიშნავს ნ. გაფრინდაშვილის „100-პროცენტიან გამარჯვებას“. მისივე წერილია გროსმაისტერ ო. ბერნშტეინის გარდაცვალების შესახებ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ინფორმაციები მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირების შესახებ, კონკურსებში გამარჯვებული ამოცანები და ეტიუდები.

ყურადღებას იქცევს ფიდე-ს საკლასიფიკაციო კომისიის ცნობა 1963 წლის 1 აპრილისათვის მსოფლიოში საერთაშორისო გროსმაისტერებისა და ოსტატების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ მსოფლიოში 64 საერთაშორისო გროსმაისტერია, რომელთა შორის 21 საბჭოთა კავშირიდანაა. საერთაშორისო ოსტატი ვაჟებს შორის ყოფილა 177, მათგან 23 ცხოვრობს საბჭოთა კავშირში. ამ ოსტატებს შორის დასახელებულნი არიან ვ. [illegible] და ნ. გაფრინდაშვილი. ცალკე აღნიშნული არიან საერთაშორისო ოსტატი ქალები. ისინი 49 არიან, მათგან 11 საბჭოთა მოჭადრაკეა: ნ. გაფრინდაშვილი, ე. ბიკოვა, ო. რუბცოვა, ლ. რუდენკო, ტ. ზატულოვსკაია, კ. ზვორიკინა, ვ. ბორისენკო, ა. კუშნირი, ა. ჩაიკოვსკაია, ი. გურფინკელი, ო. იგნატიევა.



სურათზე: შეჯიბრების მომენტი. ერთმანეთს ხვდებიან მ. არჩუაძე (ქვემოდან) და მ. პეტრილო. როგორც ხედავთ, ქართველ მოჭიდავეს საიმედო ილეთზე ჰყავს დაჭერილი მოწინააღმდეგე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლიდერთა რიგებში სივიწროვეა

დასასრულს უახლოვდება ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ბევრმა მოჭიდავემ უკვე დატოვა ტურნირი. შემცირდა მონაწილეთა რიცხვი ყველა წონით კატეგორიაში. პირველი ადგილისათვის ბრძოლას განაგრძობენ მხოლოდ უძლიერესები.

უმჩატეს წონაში სხვებზე უკეთესი შანსები აქვთ ლოკომოტიველ ამირბეგოვს და „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელს ზუბრენკოვს. ისინი ორ-ორი საჯარიმო ქულით ლიდერობენ ტურნირს თავის წონით კატეგორიაში. ერთი საჯარიმოთი მეტი აქვს ვესელოვს („სპარტაკი“).

მჩატე წონაში ერთხანს წინ იყვნენ სარანსკი („კრ. ზნამია“), სოროკინი („ბურევესტნიკი“) და კაისინოვი („შრომითი რეზერვები“). მეოთხე წრეში ამ ორმა უკანასკნელმა 3-3 საჯარიმო ქულა მიიღო დამატებით და ფაქტიურად გამოეთიშა ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლას. ლიდერად დარჩა სარანსკი. მასზე ერთი ქულით მეტი აქვს დინამოელ ლუნინს.

ქვემსუბუქ წონაში მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რადგან სულ ცოტა სამ მონაწილეს აქვს ტურნირში გამარჯვების ერთნაირი შანსი. დინამოელი ბანდერა, „ტრუდის“ წარმომადგენელი ყაზახოვი და „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრი ხოდინაში თითო საჯარიმო ქულით არიან. „კოლმეურნის“ მოჭიდავეს არჩვაძეს 4 ქულა აქვს.

მსუბუქ წონაში გამარჯვების კარგი შანსები აქვთ ლუმილას („შრომითი რეზერვები“), ყვარელაშვილს („ბურევესტნიკი“) და მანუკიანს („აშხატანკი“). პირველ მათგანს აქვს 1 საჯარიმო ქულა, ხოლო ორ დანარჩენს — 2-2 ქულა.

მეტად საინტერესო სიტუაციაა შექმნილი პირველ ქვესაშუალო წონაში — „უროჟაის“ გუნდის წევრს სტოფორანდოვს აქვს ერთი საჯარიმო ქულა, მაგრამ მას ჯერ კიდევ დარჩა გადამწყვეტი ბრძოლები მთავარ კონკურენტებთან — ხლადკოვსკისთან („შრომითი რეზერვები“) და შახოვთან („დაუგავა“) — ორ-ორი ქულა თვითეულს.

მომდევნო წონაში დამაჯერებლად ლიდერობს ზულოევი („სპარტაკი“). მას არ აქვს არც ერთი საჯარიმო ქულა. დინამოელი ილურიძე, ლოკომოტიველი სხირელი და „ტრუდის“ წევრი მატვეევი ლიდერს თითო საჯარიმო ქულით ფეხდაფეხ მიჰყვებიან.

დარჩენილ წონით კატეგორიებში გამარჯვების კარგ შანსებს ინარჩუნებენ: ხანზადიანი („აშხატანკი“), ნარბუტასი („ლოკომოტივი“) — 2-2 ქულა; მკრტიჩევი (სკა), ნანიშვილი („უროჟაი“) — არც ერთი საჯარიმო ქულა, ასლანოვი („ბურევესტნიკი“) — 1 საჯარიმო ქულა, ლასკა („კრ. ზნამია“), კისლოვი („სპარტაკი“) — 0 საჯარიმო ქულა, იკაევი („ტრუდი“), იოვაიშასი („ლოკომოტივი“) — თითო საჯარიმო ქულა.

[illegible] საზღვარგარეთ

გდრ

როტზეს ტბაზე გაიმართა ლუცერნის საერთაშორისო რეგატა, სადაც სხვა 10 გუნდთან ერთად ძალებს ცდიდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ეს იყო ძალთა უკანასკნელი შემოწმება ვაჟთა ევროპის პირველობისათვის აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელიც კოპენჰაგენში ჩატარდება.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები რვაადგილიანით. მათ ყველაზე კარგი დრო — 5.52,0 აჩვენეს და 6 წამით მიასწრეს ფინიშზე გდრ-ს გუნდს, სამაგიეროდ, ოთხადგილიანით (უმესაჭოდ) უძლიერესები იტალიელები იყვნენ, საბჭოთა სპორტსმენები მესამე ადგილზე გამოვიდნენ. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მესამე ადგილი დაიკავეს ორადგილიანი ნავებით ტურნირშიც. ამ გაცურვაში პირველი იყო გფრ-ს გუნდი.

• • •

ამას წინათ ოდერის ფრანკფურტში (გდრ) გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის, გდრ-ს, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები.

როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 4 კილომეტრზე მძლეოსნურ კროსში ნაჩვენებ შედეგებს. აქ შესანიშნავად გამოვიდა საბჭოთა ხუთჭიდელი ა. მოკეევი, რომელმაც დისტანცია 13 წუთსა და 14,3 წამში გაირბინა და 30 წამი მოუგო თავის ძირითად მეტოქეს უნგრელ ა. ბალცოს. ამ გამარჯვებამ გადაწყვიტა პირველობის ბედი გუნდურ ჩათვლაშიც. საბჭოთა ხუთჭიდელებმა 15 ქულით მოუგეს მეორე ადგილზე გასულ უნგრელ სპორტსმენებს.

არც ერთი წმინდა მოგება

იაპონელ მოჭიდავეთა დიდი ანგარიშით (1:7) დამარცხებამ თბილისში სპორტის ბათუმელ გულშემატკივართა ინტერესი ვერ გაანელა.

იაპონელებმა საქართველოში ჩამოსვლამდე წარმატებით სცადეს თავიანთი ძალები ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის სპორტსმენებთან შეხვედრაში, ჩვენი რესპუბლიკის პირველ ნაკრებთან დამარცხება კი გარდუვალი იყო, რადგან საბრძოლო პოტენციალით მასპინძლები სჭარბობდნენ. რაც შეეხება მეორე ნაკრებს, იგი ოდნავ სუსტი უნდა ყოფილიყო პირველზე და სტუმრებმა ეს სხვაობა თვალნათლივ დაანახვეს ჩვენს მაყურებლებს.

თუ პირველი წონითი კატეგორიის მოჭიდავეების — ს. ტამამოტოსა და ვ. აბასოვის შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა, მომდევნო წყვილის შეხვედრაში გამარჯვების სასწორმა სტუმრების მხარეზე გადაიხარა. იაპონელი ო. საკურამა, რომელიც პირველ შეხვედრაში უმწეოდ გამოიყურებოდა ო. ეგაძესთან ბრძოლის დროს, ახლა სარბიელის მთლიან ბატონ-პატრონად იქცა. იგი დროულად ხსნიდა საქართველოს ჩემპიონის — ზ. უგრეხელიძის ყოველ ჩანაფიქრს და მოხდენილი კონტრილეთებით ქულას ქულაზე აგროვებდა. სტუმარმა, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები გამოიტანა პირველი დამარცხებიდან და მომდევნო გაკვეთილზე წარმატებით გადაჭრა ძნელი ამოცანა.

იაპონიის ორგზის ჩემპიონმა ი. ივაძურამ ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლა სპორტის ოსტატ გ. ესებუასთან შეხვედრაში და არ მისცა მას ტექნიკური უპირატესობის გამოყენების საშუალება. ეს შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

გათანაბრებულ ანგარიშში კორექტივი ვ. ხანდოლიშვილმა (მსუბუქი წონა) შეიტანა. საქართველოს ჩემპიონმა ა. აკიამასთან ბრძოლის პირველ წუთებში დაგროვილ რვა ქულას შეჯიბრის დასასრულს ერთიც წაამატა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

ქვესაშუალო წონაში მშობლიური ქალაქის მაყურებლების წინაშე გამოსვლამ ოდნავ შებორკა ო. თარგამაძის მოქმედება საჭიდაო ხალიჩაზე და ამან საშუალება მისცა გამოცდილ ს. ვაზამს მომგებიანი ქულა აეღო ჩოქბჯენში გადაყვანით. სტუმარმა შემდგომში ბრძოლის პასიური სტილი აირჩია მოპოვებული ქულის შესანარჩუნებლად, მაგრამ ქართველმა მოჭიდავემ შეძლო დაკარგულის დაბრუნება, თუმცა ამაზე მეტი ველარ მოახერხა და ბრძოლა „საყაიმო ანგარიშით“ დამთავრდა.

ორმხრივი იერიშებით აღინიშნა ა. ნაკაურასა და ი. ტუღუშის შეხვედრა. ეს უკანასკნელი პირველად ღებულობდა მონაწილეობას საერთაშორისო შეხვედრაში და გამარჯვებით უნდოდა აღენიშნა დებიუტი. მაგრამ მეტოქე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 10 წუთი განუწყვეტელი ილეთებისა და კონტრილეთების ცვლაში მიილია და მოწინააღმდეგეებმა თითო ქულის აღებაც კი ვერ მოახერხეს.

მაყურებელი სანატრელ „ტუშეს“ რ. აბაშიძისაგან მაინც ელოდა, მაგრამ იაპონელმა ი. მორიტომ საშუალება არ მისცა ჩვენს ფავორიტს მაქსიმალურად გამოევლინა ეფექტურ ილეთთა საიდუმლოება. მხოლოდ ორი ქულა — ეს იყო მაქსიმუმი, რისი მიღებაც შეძლო აბაშიძემ გამარჯვების მოსაპოვებლად. მძიმე წონაში სტუმრებს მოჭიდავე არ ჰყავდათ.

იაპონელებმა ამჯერად კიდევ უფრო გახარებულებმა დატოვეს დარბაზი და ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მათი სახით იზრდება გუნდი, რომელიც მალე ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცევა საერთაშორისო სარბიელზე.

გ. ხამსონაძე

გროსმაისტერების სრული უპირატესობით

ჰალეში (გდრ) ჩატარებული მოჭადრაკეთა მორიგი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი მეტად საინტერესო ასპარეზობა გამოდგა. 3 გამარჯვებული უფლებას იღებს მომავალ წელს ითამაშოს საზონათაშორისო ტურნირში. ეს პრეტენზია, ცხადია, პირველ რიგში აქვთ გროსმაისტერებს: ვ. ულმანს (გდრ), უნგრეთის ჩემპიონ ლ. პორტიშს, ბ. ლარსენს (დანია), ავსტრიის ჩემპიონ კ. რობაჩს, იუგოსლაველებს — პ. ტრიფუნოვიჩს, ბ. ივკოვს და ჰოლანდიის ჩემპიონ ჰ. დონერს.

12 ტურის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებს სატურნირო ცხრილში იყოფენ გროსმაისტერები ბ. ლარსენი (დანია) და ლ. პორტიში (უნგრეთი). ლარსენმა ტურნირი დამარცხებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ შესამჩნევად „გახალისდა“. პორტიში მტკიცე პოზიციური სტილით იბრძვის და ჯერჯერობით წაგება არა აქვს.

ტურნირის დამთავრებამდე 7 ტური რჩება.

ტყიბულელთა სპარტაკიადა

დროულად გამოშვებული აფიშები ტყიბულის სპორტის მოყვარულთ ამცნობდნენ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადით გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე სპორტის 8 სახეობაში. კარგად ორგანიზებულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქალაქის საწარმოო დაწესებულებათა ნაკრები კოლექტივები.

მაყურებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თავისუფალი ჭიდაობის შეჯიბრებისადმი. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს დასავლეთის შახტის მოჭიდავეებმა. ცალკეულ მონაწილეთაგან აღნიშვნის ღირსნი არიან სპორტის ოსტატი გორგაძე, პირველთანრიგოსნები კოჭლაშვილი, სალარაძე და სხვანი. საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში. სპარტაკიადამ გამოავლინა ნიჭიერი სპორტსმენები: რ. ბექაური, ჟ. ბრეგაძე, გ. ბარკალაია, ე. გაბარაევი, ჟ. ვაშაკიძე, მ. ვერულაშვილი, ტ. ძებისაშვილი და სხვ.

საერთო პირველი ადგილი სპარტაკიადაზე დაიკავეს ლენინის სახელობის შახტის სპორტსმენებმა, რომლებსაც გადაეცათ გამარჯვებულთა თასი. მომდევნო ადგილები დაიკავეს „შახტმშენისა“ და ორჯონიკიძის სახელობის შახტის გუნდებმა. ცალკეულ სპორტსმენთაგან ფასიანი საჩუქრები მიიღეს ჟ. ვაშაკიძემ, ტ. ძებისაშვილმა, მ. ვერულაშვილმა.

განვლილმა სპარტაკიადამ საშუალება მოგვცა გადაჭარბებით შეგვესრულებინა თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა.

ა. ოზოლაძე,

ტყიბულის „განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

„დინამო" — რუმინეთის ჩემპიონი

რუმინეთის ჩემპიონატი დამთავრდა ბუქარესტის „დინამოს" დამაჯერებელი გამარჯვებით. ამ გუნდმა ჯერ კიდევ რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი, გუნდს რუმინეთში ყველაზე უფრო ძლიერი დაცვა ჰყავს და საკმაოდ აგრესიული თავდასხმაც.

აი, ბუქარესტის „დინამოს" შემადგენლობა: მეკარეები დატკუ და უტუ, მცველები პოპა, ნუნვაილერი III, ივანი; ნახევარმცველები შტეფანი და ნუნვაილერი IV, თავდასხმა: პირკალაბი, ფრატილა, ენე II, უნგურიოუ, ტირკოვნიჩი, შელიმეში II.



ფინიში ბუდვაში

აი, ესაა იუგოსლავური კურორტი ბუდვა, სადაც ორი კვირა 20 ქვეყნის 120 სტუდენტი-მოჭადრაკე ეცილებოდა ერთმანეთს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის სახელს. მოჭადრაკეთა ფესტივალის დღეებში მას ბევრი ტურისტი ეწვია, რომლებმაც ადრიატიკის ზღვისპირის თვალწარმტაც პეიზაჟებთან ერთად იხილეს ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი საჭადრაკო სანახაობა.

ბუდვაში შედგა ფინიში. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს ჩეხოსლოვაკიის სტუდენტებმა, რომლებმაც დაიბრუნეს ორი წლის წინ დაკარგული ტიტული. აღსანიშნავია, რომ ჩეხებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

ჩეხებს პირველობაში კარგახანს ეპაექრებოდნენ იუგოსლაველები და ბულგარელები. მაგრამ ბულგარელთა შანსები დიდად შემცირდა, როცა ისინი ფინიშზე სასტიკად (1:3) დამარცხდნენ ჰოლანდიელებთან. იუგოსლაველებმა საბჭოთა მოჭადრაკეებთან ვერ მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ გაუსწრეს ბულგარელებს. ამით ისინი მეორე ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო ბულგარელები დარჩნენ მესამეზე.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. ეს უეჭველად სერიოზული წარუმატებლობაა. მათ წააგეს მატჩები ძირითად კონკურენტებთან — ჩეხოსლოვაკიასთან (1,5:2,5), ბულგარეთთან (1:3) და ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა იუგოსლავიასთან (2:2). ამ შედეგებმა გარკვეული როლი ითამაშა პირველი ადგილისათვის ბრძოლაში. ადრე ჩვენი სტუდენტები მეორე ადგილზე ქვემოთ არ ჩამოსულან. ისინი ექვსჯერ იყვნენ ჩემპიონის მედლის მფლობელნი.

საზეიმო აღთქმა

ე. ერერას გადასვლა ესპანეთის „ბარსელონაში" იმ დროს მოხდა, როდესაც ამ გუნდმა უკვე „მოასწრო" მეშვიდე ადგილის დაკავება ესპანეთის ჩემპიონატში. ეს იყო კატალონელთა კლუბის არნახული ჩავარდნა. მაგრამ ერერამ იხსნა ის, რისი ხსნაც შეეძლო: დაძაბულ ბრძოლაში სძლია ბაზრობათა საერთაშორისო თასის მფლობელ „ვალენსიას" ესპანეთის თასის ფინალში. ამით „ბარსელონამ უფლება მოიპოვა მომავალ სეზონში ითამაშოს ერთ საერთაშორისო ტურნირში მაინც.

ერერამ საგრძნობლად გადაახალისა „ბარსელონას" მეტად დახავსებული შემადგენლობა. ჩასვლისთანავე მან გუნდიდან დაითხოვა 8 ვეტერანი (გენსანა, ვილაველდე, ფონჩო, კოჩიში და სხვები). ცენტრფორვარდი ევარისტო ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისიდან გადავიდა „რეალში".

დანაკლისის შესავსებად ერერამ, როგორც ყოველთვის, სამხრეთ ამერიკის „ბაზარს" მიმართა. ამ მიზნით იგი გაემგზავრა არგენტინაში საერთაშორისო თამაშების ჩასატარებლად და „ვარსკვლავების" საძიებლად. პირველი მატჩი „ბარსელონამ" ჩაატარა ბუენოს-აირესში „ბოკა ხუნიორსთან" და წააგო — 1:2.

„ბარსელონას" პატრონს მ. სანსს ერერამ საზეიმოდ აღუთქვა, რომ გუნდი სულ ცოტა ხანში დაიბრუნებს თავის საერთაშორისო პრესტიჟს.

ტოკიოს საგზურისათვის

აი, აფრიკას სამი ჯგუფიც: I. უგანდა-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, როდეზია-სუდანი, II. ტუნისი-დაგომეა, ლიბერია-განა, III. აბისინია-კენია, ნიგერია-მაროკო. ამ ჯგუფებიდან ტოკიოში გამგზავრების უკეთესი შესაძლებლობა აქვთ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, განისა და მაროკოს გუნდებს, რომელთაც კარგად იცნობენ ფეხბურთის სამყაროში.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში პერუსა და ეკვადორს შორის გამარჯვებული უნდა შეხვდეს არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებს, ხოლო ჩილსა და კოლუმბიას შორის გამარჯვებული — ბრაზილიის ნაკრებს. ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ჯგუფში ჯერ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ჰოლანდიის ანტალებისა და სურინამის გუნდები. მათ შორის გამარჯვებული დაშვებული იქნება მექსიკის, პანამისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების პაექრობაში ერთი საფინალო ადგილისათვის. ეს ტურნირი მეხიკო-სიტიში ან ლოს-ანჯელოსში გაიმართება.

ვინ უნდა მივიჩნიოთ ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ფავორიტებად? მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, ესენი არიან საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის (ან შვეციის) გუნდები, რომელთაც ღირსეული წინააღმდეგობა ვერ უნდა გაუწიონ სხვა კონტინენტების კოლექტივებმა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა უკვე სამჯერ მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში — 1952, 1956 და 1960 წლებში, მაგრამ როგორ განსხვავდებოდა მათი გამოსვლები ერთმანეთისაგან?! საბჭოთა ფეხბურთელების დებიუტი შედგა ჰელსინკის ოლიმპიადაში. აქ ასპარეზობის დასკვნით ნაწილში ჯერ ჩვენმა გუნდმა სძლია ბულგარეთის ძლიერ ნაკრებს, მაგრამ შემდეგ მარცხიანად წარმართა პაექრობა იუგოსლაველებთან. ამ უაღრესად დრამატულ მატჩში იუგოსლაველებს თამაში მიჰყავდათ ანგარიშით 5:1, მაგრამ ვ. ბობროვის ბრწყინვალე თამაშის შემდეგ საბჭოთა კავშირის გუნდმა მოახერხა თავი დაეღწია დამარცხებისათვის — 5:5. განმეორებით შეხვედრაში უფრო გამოცდილმა იუგოსლავიის ნაკრებმა მოიპოვა გამარჯვება (3:1), თუმცა თვით განიცადა დამარცხება ფინალურ მატჩში უნგრელებთან (0:2).

სულ სხვანაირად წარიმართა ოლიმპიური ტურნირი მელბურნში ოთხი წლის შემდეგ, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელების დამსახურებული გამარჯვებით დამთავრდა. ფინალის მატჩში ჩვენი გუნდი ისევ იუგოსლაველებს შეხვდა და რევანში აიღო (1:0). ახალი ოლიმპიური ჩემპიონები ყველა დანარჩენ მეტოქეს სჯობნიდნენ არა მარტო კოლექტიური თამაშით, არამედ ინდივიდუალური ოსტატობითაც. მათ მოიგეს ყველა მატჩი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველი დღის ასპარეზობას ინდონეზიელებთან, რომლებმაც დაიცვით სისტემას „ზებეტონს" მიმართეს და უშედეგო ფრეს (0:0) მიაღწიეს მაგრამ განმეორებითმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ეს სრულიად შემთხვევითი შედეგი იყო.

სამწუხაროდ, ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო წოდების შენარჩუნება. რომის ოლიმპიადის შესარჩევ ქვეჯგუფში რუმინელებთან და ბულგარელებთან ასპარეზობისას მათ წააგეს მატჩი სოფიაში, რამაც განაპირობა ბულგარელების გასვლა ფინალში. იუგოსლაველებმა კარგად გამოიყენეს ის გარემოება, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი წოდება ჯერ კიდევ პაექრობის ფინალურ ნაწილამდე დათმო და იყარეს ჰელსინკისა და მელბურნის ჯავრი. მათმა „მუდმივად მეორე" გუნდმა ამჯერად ფინალში დაამარცხა დანიის კოლექტივი და პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

მაშ ასე — საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების მიზანია რევანში აიღოს წინა ასპარეზობაში მარცხისათვის და დადგეს „მელბურნის სიმაღლეზე". ეს მეტად ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებმა წარმატებით უნდა გადაჭრან.

ოლიმპიური ჩემპიონი — იუგოსლავიის ნაკრები დებულების თანახმად შესარჩევი თამაშებიდან განთავისუფლებულია. იუგოსლაველები უკვე კარგა ხანია ემზადებიან, რათა ტოკიოში შეძლონ მწვერვალების შენარჩუნება. მათ ამისათვის უხდებათ სრულიად ახალი ნაკრების შექმნა. ამიტომ ჯერ კიდევ შარშან ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა იმოგზაურეს აზიასა და აფრიკაში, რათა შესჩვეოდნენ ერთმანეთს და იაპონიის პირობებსაც. რადგანაც იუგოსლავიაში არ არიან პროფესიონალური კლუბები, მწვრთნელი ჩირიჩი უფლებას ინარჩუნებს გამოიყენოს ძირითადი ნაკრების ყველა ის ფეხბურთელი, ვისაც ჩილეში არ უთამაშია. გარემარბები სამარჯიჩი და ჩებანაცი ბევრჯერ იყვნენ იუგოსლავიის ნაკრებში, მაგრამ ჩილეში მათ „ბედმა უმუხთლა" და არ უთამაშნიათ ტრავმის გამო. ეს გარემოება ახლა, რა თქმა უნდა, მხოლოდ აზარებს იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელობას.

ბევრი დრო აღარ დარჩა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებამდე, სადაც ძველი და ახალი ოლიმპიური ჩემპიონები, დიდი სპორტული მეტოქეები, საბჭოთა და იუგოსლაველი ფეხბურთელები სხვა „ფავორიტებთან" ერთად პირველი ადგილისათვის დაძაბულ ბრძოლას გააჩაღებენ.

გ. გორბილაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 144.

ჰოსპიტალში მიყვანამდე

ინგლისელმა პროფესიონალმა ავტომობილისტებმა სიმღერა შეთხზეს ლე მანის შესახებ. ამ ადგილას ყოველწლიურად ეწყობა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები.

„აქ ვთამაშობთ ჩვენ სიკვდილთან, ის იმარჯვებს ხშირად, ვიდრე ჩვენ"... ასე მთავრდება ეს სიმღერა.

უფრო შეჯიბრებაზე მართლდება ეს მწუხარე სიტყვები. მსხვერპლთა რიცხვით ლე მანის ტრასა ჯერჯერობით პირველ ადგილზეა, რადგან მსოფლიოში არ არის მსგავსი ტრასა, სადაც ამდენი სისხლისღვრა ხდებოდეს. სპორტსმენთათვის ძალზე ტრაგიკული იყო უკანასკნელი შეჯიბრება. ახალზელანდიელი ბრიუს მაკლარენის მანქანა რბოლის დროს დაზიანდა, ძრავიდან ზეთი იღვრებოდა, რომელიც კვალს ტოვებდა გზატკეცილზე.

როცა ერთ-ერთი მანქანის ბორბლები ზეთის კვალს შეეხო, ავტომობილი ადგილზე დატრიალდა. მას ზურგიდან 4 მანქანა დაეჯახა და მრბოლელების სასოწარკვეთილი ყვირილი ლითონის ხმაურმა დაფარა. შემდეგ გაისმა აფეთქების ხმა. ეს იყო ბრაზილიელი კრისტინ ჰეინსის მანქანის ძრავა. ავტომანქანები და მრბოლელები ცეცხლის ალში გაეხვივნენ. ჰეინსი ჰოსპიტალში მიყვანამდე ხიდამწვრისაგან გარდაიცვალა. ინგლისელმა რონი ხალვადორიმ ფეხი მოიტეხა, 49 მანქანიდან ფინიშთან მხოლოდ 20 მივიდა.

ჩ ა ი ფ რ ა

ეს ვაჟკაცური აგებულების კაცი იმ ლონდონელთა შორის იყო, რომლებიც გამოცდას აბარებდნენ მოტოციკლის ტარების უფლების მისაღებად. მაგრამ გამომცდელებმა სულ მალე გამოარკვიეს, რომ ეს ახალგაზრდა აბსოლუტურად ვერ ერკვეოდა თეორიაში და პრაქტიკაში. მას ურჩიეს გამოცდაზე მოსულიყო შემდეგ. როცა ჩაჭრილს გვარი ჰკითხეს, უპასუხა: „სტირლინგ მოსსი". დიახ, ნამდვილად გამოცდაზე ჩაიჭრა სახელგანთქმული პროფესიონალი ავტომრბოლელი, რომელმაც ხუთჯერ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო პირველობაზე. თვით სტირლინგ მოსსი ამგვარად ხსნის ამ ამბავს: „როცა გზატკეცილზე ვარ, არ ვიცავ არავითარ წესს".

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.
გამომშვების — 3-01-06.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 06009